



შაბათი, 21 ნოემბრისთვის № 47—1915

21 ნოემბრისთვის

კალმოსანი მსაჯულნი — ბასრი დანა ბავშვის ხელ-
ში—მისთვისგია სახიფათო, ბო-
როტმოქმედის-კი—საზოგადოებისათვის...


მარჯვედ მომართული კალამი იგივე ბას-
რი დანაა, და დიდათ მავნებელი, თუ ამ კა-
ლამს გულღრმობით ხმარობენ...

ბასრი კალმის გველენას დღეს, ყველაზე
უმეტესად, ჩვენი თეატრის მუშაკნი განიც-
დიან: საზოგადოება უსმენს პრესას, მწერ-
ელს, და ვაი სცენას, თუ კალმონები მას
აბუჩად, ცალკეად, მზაკრულად ეპყრობიან...

ასეთი მოპყრობა—მტრობაა საეროვნო
საქმისა. ეს იმასა ჰგავს, რამდენიმე ჰირისაგან
დიდის ზრუნვით აგებული წმიდა ტაძარი ერთ-
მა გულღრმომ უწმინდურ ფეხით წაპილწოს.

წაპილწულს ტაძარს კი მლოცველნი ჩა-
მოეცლებიან...

ამიტომ ვიცავს მსურს კალმით ემსახუროს
ჩვენს თეატრის წინსვლას, სათუთად უნდა
მოეპყრას ხელოვნებასა და მის მსახურთ: შე-
ცდომაც ამხილოს, უკეთესისკენ მიუთითოს,
ღანძღვა-გამასახარავებას, სახელის გატეხას კი
მოერიდოს.



ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი

რუსეთის სახელგანთქმული მწერალი, გარდაცვალები-
ლნი ნ. წ. შესრულების გამო

ფიქრები

სწორე და მიხვეულ-მოხვეული გზები მხოლოდ მათს მწვერვალთან გამოჩნდება ხოლმე ადამიანის ცხოვრებაშიაც სწორი და მიხვეულ-მოხვეული გზები მხოლოდ იდეალის მაღალ მწვერვალთან სჩანს.

გონიერი ადამიანის ცხოვრება — დაბოლოებული დანგრევა, უმაღლესი რწმენის მიხედვით. კაცობრიობის ცხოვრებაც იგივეა.

წინსვლა, პროგრესი კაცობრიობისა იმ შენაძინთან შესდგება, რომელთაც მიღწეის თვითვეულმა კერძო ადამიანმა თავისი პირადი ზნეობრივი განსჯეტაყების გზაზე.

აღზრდა-გან. თლებმა ადამიანის ღრმა სულიერი მოთხოვნილებმა. ყველა ქვეყნის მშობლებმა ეს მოთხოვნილება თავის სასარგებლოდ, თავისი ბატონობის განამტკიცებლად გამოიყენეს. სარწმუნოების საქმეშიაც ამგვარსავე სურათს ვხედავთ.

ილია ნაკიშიძე

სინათლისაკენ

(ნაწილი)

რამ, რა დამე იყო, რა ჯოჯოხეთური წყურული დამე!

სიბნელეს შთაფთქა ცა, მთები, ტყე და ველი. ერთ ვარსკვლავსაც ვერ ვაგებდა ვაღბოვებდა დედამიწისაკენ. — ყველანი მიმალულიყვნენ, დაბურულიყვნენ შავი ღრუბლებით. ზუზუნით და ხარხარით აპობდა სიბნელეს გაშმაგებული ქარი, უგზო-უკვლოდ ნავარდობდა, მტკვრივით აყენებდა მდებარე ფრფქაოვლს, არყევდა ხეებს და ატირებდა აყეს.

შორიდან მოისმოდა რაღაც უცნაური გრილი. დროგამოშვებით კის შავ სივრცეში ვარდებოდა ცეცხლის მაღალი სვეტი, თითქოს უნდაო შთანთქას ღრუბლები, მოსწმინდოს ცას პირი და დაანახოს მის გაპარტახებული ქვეყანა.

ხან კიდევ ქარი მოიტანდა რაღაც გაუკრეველს ღრიალს — ღმუილს.

.... ამ დროს ისინი ტყეში შევიდნენ: დედა და პატარა ვაჟი.

დედას ჩაჰკროდა გულში ძუძუთა ბავშვი და ჩასძინებოდა კიდევ;

პატარა ვაჟი ჩადრში ჩაჰკიდოდა ერთი ხელით, მეორეს თითები პირში ჩადო და უბერავდა, თანაც ათბობდა ცრემლებით.

შორი მათს ძირიდან იქუიტებოდა სუსტი სინათლე.

— სუ, შეილო, ნუ ტირი, გაგვიგონებენ და დავიღუბეთ... გაიხედე, გაიხედე სინათლე მოსჩანს... ცოტა კიდევ და...

თოვლში იფლოზობდნენ, ხეებს ეტაკებოდნენ, მაგრამ შინაც მიიღობდნენ. გამოღვიძებულს და ატირებულს ბავშვს დედა პირზე ხელს აფარებდა. შეუბრალებლად ცელქობდა სინათლე: ხან სულ მიიმალებოდა და ჰკლავდა იმედს, ხან ისევ გამოიჭყეტდა ხეებში, ხან, — ასე გეგონებოდათ, — უფრო შორს მიიწევდა.

— აღარა სჩანს, დედა, აღარა!

— გამოჩნდება, შეილო, გამოჩნდება, — აიმედებდა დედა.

აიმედებდა, მაგრამ თვითონ კი არ იძვლებოდა: სინათლე საბოლოოდ მიიშალა.

— დედა, როდის გათენდება? გათენდება თუ არა?

— რას ამბობ, შეილო? გათენდება, მაშ რას იზამს!..

აღ - - - არ სჩანს, აღა - - - არა - - - და იქვე დაეცა თოვლზე.

გაიგნდა. ტყე სქელი ნისლით იყო შებურთული თეთრ სვეტაც მათს წვეროდან გადმოხედა მზემ ქვეყანას.

წითელი იყო მზე...

სისხლით დაეჭანა იმას პირი...

ერთ ხის ძირში ეწყვნენ საშნივე:

დედას შილები ჩადრში ვაგებია და თოვლში ჩაეწვინა, თვითონ კი ზევიდან გადაუარებოდა; პატარას დედის ძუძუ პირში ჩაჰყინოდა, ძუძუში-კი — იმის გაღურჯებული თითები, — თითქოს ეშინოდა. არ მოშორდეს დედას.

დედის ილღის ქვეშეიდან ვაცს სახე უჩანდა. იმის გახელილი მკვდარი თვალები მის-
 კჭროდნენ იმ მთის ძირს, საიდანაც სინათ-
 ლის შუქი მოდიოდა. დედა კი აღმოსავლეთ-
 თისკენ იხედებოდა: შრელოდა, როდის გა-
 თენდებაო.

ფართელ გაშლილ უსინათლო თვალებში
 თამაშობდნენ მზის წითელი სხივები...

გაბრიელ გოგუაძე

ი წ ა მ მ

მეორე

— მშვენიერი წყნარი საღამო იყო. მზე
 მთაზე შემდგარიყო... მარაოსავით გარდა-
 ეშალა თავისი ოქროს ფერი სხივები და სუს-
 ტად აბნევედა სინათლეს. აგერ ვადიხარა კი-
 დეც... უკანასკნელად გადასტყორცნა გაბრ-
 წყინებული შუქი და მძიმედ ჩაესვენა, გამო-
 ეთხოვა ქვეყანას... მხოლოდ ეს ჯერ ასევე
 წითლად ვარვარებდა, ჰლუოდა და ჰქრთოდა
 ათას ფრად.

ერთ მალეობ პატარა განმარტოვებ-
 ბულ გორაკზე იჯდა მკმუნვარე ჰაბუკი და სევ-
 დიანად გადაჰყურებდა საოცნებო, საზღაპრო
 სურათს!

მის თვალწინ ვარდაშლილიყო მომხიბ-
 ლავი დაცემული წალკოტი—ველი, რომლის
 ბოლოს წყნარად მოღვლავდა და გველსავით
 მოიკლავებოდა მრავალ დროების მოწამე ან-
 კარა მდინარე. მის იქით თვალგაღწევდებ-
 ნელი დიდი ტყე და ტყის იქით კი უზარმა-
 ზარი თოვლის დაფენილი მთები, რომელნიც
 რისხვით გადმოიყურებოდნენ და თავისი სი-
 ღიადით, სიმშვენიერით, აღამიანს კრძალვისა
 და შიშს აღუქმავდნენ.

ჰაბუკი თვალს არ აშორებდა გავარვარე-
 ბულ-გაწითლებულ ცას, თითქო უნდოდა
 შთანთქმულიყო მის წილში.

ცამ ნელ-ნელა დაჰკარგა თავისი ფერი,
 და ლილის ფრად შეერება. ბუნებამ ჩამოჰკ-
 რა თავის ჩანგს სიმები და ააჭლერა მთა და
 ბარი... დაჰქროლა ნიაფი და შრიალი დააწ-
 ყებინა ყანებს. ზუზუნით ვადიხარა მის კეკ-
 ლუს თავთავებზე და ზღვასავით ააღვლავა.



მსახიობი ალ. ჯალაღანიშვილი მისი მეწველისა გათ-
 ქეთისის თეატრში 22 გიორგობისთვეს („სუგვირგვ-
 ნო მეფენი“).

ნაზად შეიკბნენ ტყეში ფოთლები და დაიწ-
 ყეს ერთმანეთთან ლაზღანდარობა, ჩუში—სი-
 ლუშლო ბაასი.

ბინდო მოედო აბა-მარეს, დაბნელდა...
 მაგრამ ჰაბუკი იმ ადგილიდან არ იძვროდა.
 ბუნებამ იცვალა ფერი, მხოლოდ ის კი ისევ
 ისე ეაქმნით მოცული იყო მისი სახე მოწ-
 მობდა უიმედობას, სულის ობლობას, სრულ
 განცალკევება-განმარტოვებას, ადრეულად გან-
 ყენება-განდგომას ამ ფუქ—ცრუ წუთისოფ-
 ლიდან. თითქო მისთვის აღარაფერი არსებობ-
 და, აღარაფერს მოელოდა ამ ქვეყნად და
 სამუდამოდ ჩამოშორებოდა ყველას აღარა-
 ვინ გბადა: არც გულის შემწუხრე, არც მშო-
 ბლები, არც და-ძმანი, არც ნათესავნი, არც
 მესაიდუმლე მეგობარი და აღარც მოსიყვარუ-
 ლე-მოთაყვანე სატრფო. მარტოდ-მარტო დარ-
 ჩენილიყო ამ ვრცელ და თვალ-გაღწევდებულ
 დედამიწაზე. მისი ოხვრა იყო ოხვრა ვაებისა,
 ოხვრა ობლობისა, ოხვრა ტანჯულწამე-
 ბული სულისა. ბედს მიუვალ, უღაბრო
 ზღვის კიდეზე გადაესროლა ყოველივე აჰე-
 დი, ნუგეში, ნდობა, რწმენა დაჰკარგოდა...
 ვისთვის გაემხილა თავისი გულის ნაღები? ვინ
 მოეწვია თავისი გოდების მოსასმენად?!

— ბუნება!! იგი დაუკავშირდა, დაჰპირ-
 დაპირდა მის...

იჯდა ერთ აღავას, უძრავი, გარინდებუ-
 ლი და ლამის მნათობთათვის შეიპყრო თვა-
 ლები. თითქო იქ, იქ ხედავდა მოსვენებას...
 მთვარე ნელ-ნელა მისცურავდა, მკრთალ სი-

ნათლეს ჰყენდა ყოველ საგანს, ტურფა საო-
ცნებო ჰაეროვნად ხდიდა! მხოლოდ მისი ჩუ-
პი გულის კენესა-და არღვევდა ბუნების ჰარ-
მონიას.

— ოხ, ღმერთო! — ფიქრობდა ქაბუკი:
ნუ თუ ეს მშვენიერი, მომხიბლავი, თვალ-
წარმტაცი ბუნება, ეს მოკრიალებული ლურჯ-
ჯი ცა, მოჭედული ვარსკვლავებით, ეს მშვი-
ლი და წყნარი დედამიწა, სადაც ყოველი მცე-
ნარე, ყოველი სულდგმული ხარობს. იმითმ
შეჰქმენი, რომ ადამიანს გულში დარდი და
ბოროტი დაუსადგურო? რად არ ს ეს სოფე-
ლი ერ-სა და იმავე დროს სამოთხეც და ჯო-
ჯ-ხეთიცი? ნუ თუ ბუნების სიმშვენიერეს
ადამიანის ცხოვრებასთან არავითარი კავშირი,
არავითარი თანაგრძნობა არ უნდა ჰქონდეს?
განა იგი ცივი და მიუკარგებელი უნდა იყოს
ჩვენს ტანჯვა-ვაებასთან? მაშ რისთვის-და
არსებობს ეს სილამაზე, ეს სიტურფე, თუ არა
ადამიანის ბედნიერებისათვის? ან რა არის
თვით ეს მშვენიება, რა არის სულის უკვდავე-
ბა, რა არის თვით სიკვდილის შვილი, ნუ თუ
მხოლოდ მიწა და მტვერია? და ეს დიადი
ქმნილება დედამიწა, არაჩაობაა და სხვა არა-
ფერი? ნუ თუ ყოველივე ამოგებაა, სიფუტე,
საკარბილეი ამ ქვეყნად და ამოა თვით ადა-
მიანის ბრძოლა, ლტოლვა-მისწრაფება და თუ
ეს ასეა, ღირს-და ცხოვრებასთან შებრძოლე-
ბა, მისი შიში უღლის წვევა?!

— სხარედ ვკითხებოდა გულში ქაბუკი
მოკრიალებულ ლურჯ ცას, მის მნათობთ,
დამშვიდებულ დედამიწას და სურდა მითგან
გაეგო პასუხი.

— იწამე! ჩამოსახეს ზეციდან მოკაშკა-
შე, მოვლევარე ვარსკვლავებმა.

— იწამე! წასჩურჩულა მოდულუნე ცელქ-
მა წიაღმა.

— იწამე! კვლავ განუშეორეს მოკრიალე
ტყის ფოთლებმა.

— იწამე! ჩასძახა ყურში რაღაცა უნი-
ლავმა ძალიან.

— იწამე და შეურიგდები შენს ხვედრსა,
პოვებ ბედნიერებას — სიმშვიდეს აქაც და იქაც
და ეს იქნება თვით უკვდავება.

3. გარჩიკი

ფურცლები

1.

პლ. იოსელიანი

როდესაც ვაბატებით ვკითხულობ სტრა-
ბონის წარმტაც სტრიქონებს, როდესაც ვუ-
კვირდები ჰეროდოტეს და ტაციტის დარბა-
ისლურ კილოს — მაგონდება ამ დროს იოსელი-
ანის „შვე წიგნი“ — წიგნი წითელ ასოებათ.

არ ვიცი, რად ვარ ასე თავხედი, რო-
დესაც ოქროს ხანის მწერლებს შეუდარე „ბა-
ხუსის ხანის“ მწერალი, როდესაც ოლიმპი-
ის თამაზე დადაფნულ ელინთ გვერდით
ამოუყენე „ვილაკ“ იოსელიანი, მხოლოდ წყე-
ვით დავვირგვინებული თვისტომთა-მიერ.

არ ვიცი, არა! ხოლო ახლა კი ისე მწყუ-
რიან მისი სტრიქონები, მისი ვნებით სავეს
პათოსი, რომ მისი დაწაფება მიჩვენია ყვე-
ლაფერს.

ხან, ვით მწირი, მეუღაბნ თელი — საღეთო-
სიტყვათა წარმომტქმელი, ხან ვით სარდალი
შორს გამჭვრეტელი, ხან ვით მგოსანი ჰან-
გად და კითხვად გადაქცეული — მიდგება თვალ-
წინ...

და ასე თვალწინ მიდგება ის ადამიანი,
რომელიც სწერდა იმ წყველ წუთებში, როს
საქართველოს კუბოს დასტიროდა მხოლოდ
ველური ზურნა.

არა, მას ვერ წარმოვიდგენ საქართვე-
ლოში! არა, მე ის ელლინად მიძანია. პე-
რიკლოსის ხანაში, მისი ელინიობა ამოვი-
კითხე მის სველიან სახეზე, მის ასკეტურ ცხო-
ვრებაში...

არა, იგი ქართველი არ არის, თასით
ხელში, ბაღდად შემობვეული ქართველი რა-
ინდი მე-30-ე წლებისა.

აი, მე ნათლად მაქვს წარმოდგენილი,
თუ ვით ისმის დუიუკის ტყილი ხმა არაგვ-
ალ-ხნის ველებზე, თუ ვით ისმის უზრუნვე-
ლი „მრავლ ღამიერი“, — ეს „სულთა თანა“
საქართველოსი, ხოლო ამავე დროს სველით
მოცული პლატონი წარსულის ნანგრევებზე,
თუ ვით დასტირის თვითეულ ქვას, როგორ
შესჩივის მათ სულის ობლობას, რადგანაც
მას ტოლი არა ჰყავს, რადგან ის თრავ-
მენტია, ციდან ჩამოტეხილი.

მისი ძახილი ამოა, ვით შორეული კენე-
სა ნიკოსი ამავე წყვილიდით მოცულ ღამეში...

იგი უყვიის წარსულის რაინდთ და რა
ვერ ისმენს მათგან გამოძახილს - ეს მარტო-
ობის სევდა გადააქვს ცეცხლის სტრიქონებში.

და მთელ ისტორიას იფერიისას, თუ
გინდ მხიარულ კაბადონებსაც, იგი მოსავეს
სევდის საბურველით.

ოჰ, როგორ მენანება, რომ იგი არ იყო
თამარის ხანაში: მაშინ ხომ სხივებით შემო-
სავდა თავის სტრიქონებს...

... და ვკითხულობ მის "შავ წიგნს" და
თვალწინ მაქჩრიათ საუკუნენი. მიქჩრიათ რა
ინდნი და მეფენი იტორიისა და თვითეულს
მათგანს პლატონი სდებს მსჯავრს და ისტუმ-
რებს მარადისობის წიადში

წყდება წიგნი და თვითაც ებარება სევ-
დიან ქაოსს, რათა სხვამაც დასდოს მსჯავრი
მის მოწყენილ სახეს, მის ცეცხლეულ სტრი-
ქონებს...

გაგლა ლეონიძე

ხალხის წარმომადგენელი მეტეხის 'ცისქვი'

(მოგონება)

ერთფეროვანი იყო ცხოვრება ჩვენი...
ხანდისხან, კვირა-ხუთშაბათობით თუ შვირ-
ხეოდა ეს ერთფეროვნება, როდესაც მწახველ-
ნი მოგვიკითხავდნენ ხოლმე...

— გადაუწყვიტეს, ჩამოახრჩეს, გაგზავ-
ნეს,—აი უმეტესად რა „ახალი“ ამბებით ვი-
კვებებოდით.

ასეთ ერთფეროვნებაში ციხის კედელთა
შორის ვანისმა:—ქოლა ლომთათიძე მოპ-
ყავითო!..

და ყველა, ვინც იცოდა ამ წაშებულის
ვინაობა, მოუთმენლად მოელოდა — როდის
იქნება, თვალით ვნახოთო...—ჩვენი ციხე
მალულდება, ღირსება ემატება! — წამოიძახა ერთ-
მა ტუსაღთაგანმა.

ერთს ჩვეულებრივ დღეს, როდესაც ორ-
მოცამდე პოლიტიკური ტუსაღი ციხის თონი-
სებურ ეზოში ირგვლივ ვიღოდით, როგორც
კალოში შემბული დაქანცული საქონელი,

ვილაყამ გადმოგვძახა: „ეტაპი მოვიდა, ქოლა
მოიყვანეს.“

ყველამ ციხის სამმართველოსკენ გავიხე-
დეთ. სამმართველოში ათამდე ტუსაღი იდგა...

გულმა ფანცქალი დაიწყო, ვათვალთ-
რებთა ვერ ვრჩევთ... კარ-ჩაკეტილ საკნებ-
დნ ფანჯრებში დაბოროცილებულნი („ქანდალ-
ჩიკები“) იცქირებიან,—ყველას ყურამდე მი-
ახწია — ქოლა მოიყვანესო...

არ გასულა დიდი ხანი, მოყვანილი ტუ-
საღები ეზოში გამოიყვანეს:

— გამარჯობა ამხანაგებო! — გადმოგვძა-
ხა ერთმა ხმელხმელმა, აწოწილმა. გამხლარ-
გატეხილმა გრუხა ტუსაღმა.

— ქოლას გაუმარჯოს! უპასუხეს
ამხანაგებმა ერთმანეთი გადაკოცნეს,
ხელს ართმევნენ, მორაგვე ზედამხედველი ყვი-
რის,—მაგრამ ყურს არავინ უგდებს, ვილაყა
უპასუხებს:

— Депутатъ съ нами! (დეპუტატი
ჩვენთან არს). გაატარეს, რამდენიმე ხნის შემ-
დეგ „ძველ შენობაში“ მოათავსეს,—ძველი
შენობის მკვიდრთ გეზბარაან. ვამყობთ...

ქოლა გარეგანი შებეღულობით საიმისოს
არას წარმოადგენს, ერთ ბატონ ტუსაღს
უკვირს კიდევ — „მაგაზე უკეთესი ვერაფერ
ვამონახებს, რასა ჰგავსო?“ მაგრამ... პერო-
ბილმა არწივმა მალე გამოიჩინა კვანჯები: მე-
სამე დღეს ერთი ამბავი მოახდინა მწახველთა
მისაღებ ოთახში უზრდელ-უდიერ საქციელის-
თვის, არ გასულა მეტი ხანი და საზოგადო
სახმარი პურის უფარგისობის გამო აშკარა საყ-
ველური განაცხადა (თუმცა თითონ უკეთე-
სი — თეთრიპური ეძლეოდა)...

ხალხის ნდობით აღჭურვილი დეპუტატი,
მაგრამ უფლება აყრილი — სამოქალაქო სიკე-
დილით დისჯილი, ციხეშიაც ისევ დეპუტა-
ტია, ყველა მას ენდობა, მართველობაც ან-
გარიშს უწყევს და ხშირად გამოელაპარაკება
ხოლმე...

როგორც ავადმყოფი (ქოლერაჰი მსქირდა)
მზიურ ოთახში მოათავსეს, სრულიად ცალკე
(ერთხანად, მისივე სურვილით, მასთან ვადი-
ყვანეს ერთი სომეხი სტუდენტი ა. კ—ნი), მა-
გრამ სერიოზობის დროს, აბანოში, პირ-ბანაზე.

შუადღისას მუდამ ერთათა ვართ, ერთმანეთის დარღსა და ვარამს ვიზიარებთ...

უსამართლოდ დასჯილი ტუსალის გული მეტად მგრძნობიარეა, გრძნობა—სათუთი, სული სწრაფად აღსატყინებელი...

არა ერთხელ შეგვხვედრია ხებრე მორიგე, სეირნობის ანუ სადილის დროს: საკმაო იყო მცირე მიზეზი, რომ ცოცხლად დამარბულებს ცეცხლი მოგვდებოდა, მაგრამ ხშირად ბოღმას გულში ვიკლავდით, ქოლა კი—ვიდრე ასეთ ხებრეს არ მოაშორებინებდა, არ დაწყნარდებოდა...

ცოცხალი მოკამათე-მოსაუბრე იყო, ხან გესლიინი, მწარე დამკინავი, ხან-კი—მოსიყვარულე, საამო, მაგრამ მუდამ გულწრფელი: რაც გულში აქვს ენაზე აღგებაო, ამაზე ითქმობდა... ზოგჯერ ერთი სიტყვით ისე დაახასიათებდა ათვალწუნებულ კაცს, რომ, როგორც იტყვიან, შიშხაბადა ხოლმე...

მუდამ შეუღრეკელი იყო.

ერთხელ რაღაცაზე კარცერში წაყვანა მოუნდობეს.

— ახლავე კარცერში! მოისმა უფროსის პალატი ხმა.

— სკრუობ, ვერ წამიყვანთ! — იყო ქოლას პასუხი...

ყველა ერთეულ საკნის კარი ჩაკლიტულია, სანათურებთან მიმდგარი ტუსაღები ყურგამახვილებულნი ვიციკირებთ—*ცა*, რა იქნებოა!

— წაიყვანთ! ბრძანა უფროსმა.

— ვერ წაიყვანთ, არ შეიძლება!..

მოესმის აქეთ-იქიდან!.. მაგრამ ყურს არავის უგდებენ, გააღეს საკანის კარი, ძალით გაიყვანეს ქოლა, კარცერისაკენ გაუყენეს...

— შეიდი ღღეღამით ჩაჭკეტეთ! — გაიცა ბრძანება. ყველას ეღდა გვეცა: ეს ხომ აშკარა სიკვდილია, სჩანს მაგის მოკვლა ჰსურთ, — მოისმის აქედ-იქიდან...

— მიჰქარავ, შვიდ წუთსაც ვერ ჩამსვამ... არ გასულია ხუთიოდე წუთი, ქოლა ისევ უკან ამოიყვანეს: — რა მოხდა? — უმალღესი ბრძანებაა, კარცერში არ ჩასვათო...

ციხე დაწყნარდა...

ქოლა ციხეში განუწყვეტლივ მუშაობდა:

და: კითხულობდა, სწერდა სთარგმნიდა და, რაღაც მანქანებით ციხის გარედ ჰგზავნიდა თავის ნაწერებს... მეტეხის ციხეშივე შეეასწორეთ ჰენრის ჰენენხ ბიოგრაფიის კორექტურა. — იშვითად მინახავს ასეთი მოწადინებული, მეჯითა, მწიგნობრობის მოყვარე. განსაკუთრებით დაეწაფა ძველ ქართულ მწერლობას: ენა უნდა შევისწავლოო...

ბოლო ხანებში დიდი უკმაყოფილო იყო ზოგიერთი რედაქციისა: „მგათი სული კი არ იყოს, რა გაკირებით უგზავნი ნაწერებს და ეგენი კი... ან „ჰკარგავენ“, ან... ეშმაკმა წაიღოს... ერთი გავიღე“!...

ქოლას მეტეხის ციხეში საგანგებო კერძი ეძლეოდა, რაც კი შეიძლებოდა — სათუთად უვლიდენ... განსაკუთრებითი ყურადღებით ექცეოდა ცოლი: მისი ციხეში შესოსვლა (პირად სანახავად) და ჩვენი — მთელი ძველი შენობის ტუსალთა სიხარული (თუ სეირნობაზე მოხდებოდა ხოლმე) ერთი იყო... ქოლა გამხიარულებული გაგვერკვეოდა, სანოვაგე-წიგნებით დატვირთულ ცოლს დემონსტრაციულად გადაჰკონიდა, შვილს გულში მიიკრავდა ხოლმე და სამმართველოში შევიდოდა ცოლშვლთან ერთად...

ყველანა მოწიწებით პატივს ვსცემდით იმ უცხო ქალს — „ჩვენს რძალს“, რომელიც ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქს გადადიოდა, სადაც კი ქოლას გადიყვანდენ და ფარვანასავით თავს ევლებოდა...

მისი მოწყალეობით, უმალღესი მოხელენი ტუსალთა ქარ ვარამსაც მიჰქცევდენ ხოლმე ყურადღებას...

1913 წელს, ერთ დღით, რაღაც ცვლილება შეენიშნე მუდამ მხიარულ ქოლას... თითქმის ორი კვირა გულით ზიდავდა ბოღმას: საზიზარო უსახელო წერილი მიეღო ოჯახზე,

ისე გაშფოთებული არ მინახავს: ექვსი წელიწადია და მხოლოდ ახლა გავიგე სასჯელიო... ვამშვიდებდით... ცოლი აღარ მოდიოდა, არც შვილს უშვებდენ... ერთხელ, ზამთრის ცივ ღღეში მარტოკინა მოვიდა მისი პაწაწინა შვილი (7 წლის იქნებოდა), — არ

მიწვევებენო, შეეცდინა ბალოს... (ქოლას ერთად ერთი ნუგეში და ზრუნვის საგანი ეს შეილი იყო)... მთლად გაქარხლებული ქოლა დაქრილ ლომივით ბრღვენიავდა... ცდილობდა, შეილიც მასთან მიეყვანა საცხოვრებლად. ან სოფლად, მაგრამ ვერაფერი გააწყო...

სენმა უმატა, ნახველს ხშირად სინხლს ამოაყოლებდა ხოლმე .. ამ ხანად ნაცნობ-მეგობარნი თუ მოდიოდნენ: ერთხელ კ. თავართქილაძემაც კი გამოიხმო, მაგრამ რაკი არ აჩვენეს, მის გადასაცემად მე გამატანა მოტიანილი სანოვაგე .. ერთხელ კარლო ჩხეიძემა, და, კარგად არ მახსოვს—ვგონებ ა. ჩხენკელმაც მნახა, უმაღლესი მოხელენიც პატოვისკემით ეპყრობოდნენ...

ციხის ვადა რომ შეათავი, დღითი-დღე მოელოდა—გამიშვებენო,—ერთხ ხად ასეთი აზრი გავრცელდა კიდევ. მაგრამ მოულოდნელად ქოლას იმედები გაუტრუვდა, და, სამშობლო—გურიის მივიერ, ასტრახანს უკრეს თავი... ასტრახანიდან რამდენიმე წერილი მივიღე.

ციხეში, სხვათა შორის, ვსთხოვე ავტობიოგრაფია, რაზედაც თავისებურად ვადიხარხარა— „შენც გინახავს რაღა ისტორიული პირობა, ხოლო როდესაც მე თვით დავწერე მისი დახასიათება

ხელთნაწერიც ვუჩვენე, მაშინ კი დამიწერა. ასტრახანს ვადისაბლებამდე ვსთხოვე, თუ ასტრახანში ქართველ მეფეთა და ისტორიულ პირობა სიპარენი მნახო, ლექსიკონისთვის ცნობები მომეწოდე-მეთქი. ქოლამ ჩემი დავალება შეასრულა და შემდეგი წერილი მომწერა:

25 ივნ. 1914 წ. ასტრახანი

ძმაო აბსებ! „თეატრსა და ცხვენებს“ ვუდებულაბ. შავიდე ატრედვე ბესიკის ლექსთა კრებულად—ყველა ამაბის ცაში დიდ მადლობას გწინაყ. იმუდაა ჯანსაღათ ხად და მხნეთ, მასაც ზემ შესახებ ვერ გეტყვი, ამ წყუღმა სიღებებმა მანც ანაქათა გამამადაა. თმამად თხუთმეტა ცნადუსი სიღებებია, მადა და კაუტადი დატრედიო ფადტრეებით.

ასეა თუ ისე ჯერჯერობთ ცაგხადი ვად და შემდეგმა ჩან იქნება იქნეს, ჯანც გავად-

დეს. ეხდა ჩემი დამილება უნდა შევასრულე. მე მაინც აქ ჩვენი შეფუგების ხაფიაგი.

ანსებობს ისტრახანში ძველი, დღეს გაუქმებული, სამხატვრო, ეგრედ წოდებული კრემლი. ამ სამხატვროს ეზოში დგას სავსაობათ დახანა, დიდო შენობა, თრ სანთუღაინი სობათა. რაღა ამ სობათაში შედისან უკან კარებია (რე თქმა უნდა ქვემო სანთუღაში) მარცხენა კედლის დასაწყისს კედელზე წერია: „აქ სასუფაგაინ ქანთვეღნი მღვდელმთავარნი: არქიეპისკოპოსი იასეაბა † 1 სექტ. 1750 წლ., მიტროპოლიტი რამახანა † 30 იან. 1753 წ., მიტროპოლიტი ტიმოფე † 28 იულ. 1764 წლ.“ წარწერა რუსულაა: „Здѣсь погребены тѣла грузинских преосвященных: Архиепископа Иосифа † 1 сент 1750 г., Митрополита Романа † 30 янв. 1753 г., Митрополита Тимофея † 28 июл 1764 г.“ წარწერა გუდუღუნა, ხადა თრეკუსე არავითარი ნიშანი არ აინს, რომ აქ ვისიმე საფუღაგი იყოს. გაფუღა წინ სავსუთხეღისკენ, სავსუთხეღის წინ დგას ვეებურთუღა ათხ კუთხი ბადი, ამ ბადის მარცხნითუღა, თუ ბიდა სავსუთხეღისკენ გაქვს, აწერია რუსულად: „Здѣсь погребено тѣло грузинскаго царя Теймураза † 28 декабря 1861 г. 70 лѣт.“ ეს 1861 წელი რე თქმა უნდა შეცდამა არის. სავსუთხეღის წინ, მარჯვანთ დგას მეორე ასეთი ბადი და ამ ბადის მარჯვენა მხარეზე არის მეორე წარწერა რუსულად: „Здѣсь погребено тѣло грузин. царя Вахтанга. † 26 мар. 1763 г 88 лѣт.“

გარდა ამ წარწერებისა არავითარი არ მანს, რომ აქ სასაფუღაგობა, თუშც ასეთი ბიშნობით მხადად გაბებ რომ ამ ტრედაში სხვებ ბეუნი მანხია, განსავსუთხეღით ადვადობრივი ებისკოპოსები. თუ რამეთ ცამტადება ეს ცნობები შენი შრამისთვის—ფეშქაში ამ ცნობების შეკრება დამიჯდა ათი შუნი ვერცხლის ფულა, შეკრულს კან გავადებე, თან გუფადი და სხვა. ისე რომ თუ ვინიმე ჩემზე ცითხანს, სამშობლოსთვის მხეგანადის ცამტება არ შეცდამათ, ჩემი ათი შური წამოსდაზე და შეანტებე ასეთი ბიდა. ხუმრობის ტრეკე. ცისურფი ჯანმრთელობას და ვადეც ცმადლობ ვუჩინადისთვის. „კადისა“, „სახადხო ფუტრისა“ და

კიდევ ქუთათურ „იმერეთის“ გარდა უკვლავ გა-
ზეთებს ვკითხულობ, რასთვისაც ღმერთს მად-
ლობას ვწირავ. **ნახვამიდი შენი ჭოლა**“

ასტრახანიდანვე, 13 აგვისტოს, მწერდა:
„ძმავა იასკებ! თბილისის მაგიერ სანატრიუმში
აშოვევავ თავი... ძლიერ ცუდათა ვარ, მაგრამ ეს
ჩვეულებრივია, არ ხსნადი. გასურვებ ჭანმთეთ-
რობას—შენი ჭოლა“.

და სანატრივიდან კი სამშობლოში მხო-
ლოდ კუბოთი ჩამოვიდა...

ქოლას ჰეინელან ნათარგმნი აქვს, სხვა
თა შორის, ერთი მშვენიერი ლექსი, „გამომ-
ვლანება“ (ამავე ნომერში იბეჭდება), რო-
მელშიაც მსოფლიო სევდის მგოდებელი მგო-
სანი ჰეინე გვეუბნება: როდესაც ჩემი გულის
განამტყანები, სილაზე დაწერილი, ტალღამ
წაშალა, — ზღვის აღარ მივენდე; ცეცხლის
კალით ცის უზარმაზარ კამარაზე დავეწერე



ლოტბარი ს. ი. პრინციანი „ხარუხის საზოგადო კლუ-
ბის“ სიმებიანი ორკესტრის სამუსიკო ნაწილის მმართველად მიწვეული

იგი. და მას შემდეგ, დაღამდება თუ არა, მთე-
ლი ქვეყანა კითხულობს ჩემი საყვარლის სა-
ხელსო.

ქოლამ კი დემოკრატის ტანჯვა თავისი
ზურგიით აიტანა გოლგოთაზე და საკუთარი
სისხლით ბენაფთა ცხოვრების კაბადონზე დას-
წერა—როგორი უნდა იყოს ხალხის ერთგუ-
ლი მებრძოლი: დემოკრატის ვალია, ამოი-
ცნოს იგი... **ნოსებ არიმათიელი**

ყვავილეზი

მ. ო. მ. ა. მ. დ. ა. ვ. ი.

ღამე. მთვარე. ვარსკვლავები,
ტყე. მდინარე. ბრძოლის ვილი;
ქარის გმინვა. სევდის ხმები,
სისხლის კალო საზარელი...
მტრის კიჟინა. მებრძოლით ვიში,
ხე უშტოვო. ხე დამწვარი;
შეშლილის ხმა. წყევა თხრილში
და დაქრილი ცოცხალ-მკვდარი...
განგმირული სისხლში სცურავს,
სველ კენქს ლოკ ვს ცხელი ენით;
ბედკრულოს აზრთა ნისლი ზურავს
მონაბერი აღმაფრენით.
ხან ჩურჩული ეღანდება,
თითქოს სატრფო მკერდს ეხვევა;
ხან მოვსმის თავის ქება,
გამარჯვება და მტრის ძლიევა.
ხან მშობელი უდგას წინა,
თმებ გაშლილი, მკლოვიარე;
ხან თითქოთ თავად შინა,
თვალწინა აქვს თავის არე...
ხან გრძნობს აქა მისი ყრმა,
მოცქრიალე, მომღიმარი;
ხან სცნობს თითქოს—არა ძმავა,
სურს წაიღოს ცოცხალ-მკვდარი...
ხან ერკვევა, თითქოს ხედება,
ბრძოლის ველზე კვდება ობლად;
და აქ არვინ ეყოლება
დამტირებლად, თანამგზავობლად...
ეწამება ცოცხალ-მკვდარი,
უღუნდება მკლავი, ხელი;
ღმერთო, ღმერთო ცოდვა არი
ხორციელი, ხორციელი!
კიკნა-ფშაველი

გ ა მ რ მ შ ლ ა ვ ნ ე ბ ა

ვიინედან კ. ოლიას—ბ. ლომთათიძის მიერ თარგმნილი, ჯერ დათბეჭდა—
ვი ხელთნაწერიდან

ღრმად წარბ მოხრილი დედამიწას ეწეა მწუხრი,
გვიფიქრობს რბოდენ სუტუკა ზღვის შმაგი ტალღები:
მა კი ვიკეკი ზღვის ნაპირას და დასტკეროდა
ტალღათა ტრიადს, იმით თამაშს შეუდარებელს.
ფით ტალღა ზღვაში, ათამაშდა ჩემს მკერდშიც გული.
სევდამ ძლიერმა, მწიკვე სევდამ შეიბერა სული—
შენ მომაგონდი, მშვენიერო, რომელიც მუდამ
ჩემთან დადიხარ, განსურულად თვალებს მიდგახარ.
და შენ შეძახი, შენ შეძახი მე მუდამ, მუდამ...
შენ არ შეძახი ზღვის გრილში, ქარის გმინვაში?
შენ არ შეძახი, როცა გუნვის ეს ჩემი გული?..

ჯოხით დაფსწერე ზღვის ნაპირას, სმეტაკ სილაზე:
„აგნეს მიეგარხარ!“

მაგრამ მოსწვდა მას ზღვის ნასროლი, ტალღის ნამხევი.
მსწრაფლად წამალა ჩემი გულის განამუდგენები...
ხუსტია ჯოხი, სილაც მზეში ჩქარა იფშენება,
უნდა არიან ზღვის ტალღებიც—არ ვუნდობი მათ!..

დაბნედა ზეცა, ჩემი გულიც უფრო დაძვირდა...
სკელით ძლიერით უდრან ტყეში ნორვეგიისა,
მე ამოვგდამე, ხსოვანი, ტახადი ნაძვი
და შთაფაწე ის ცუტხელმადებულ კტინას გულმკერდში.
და იმ კალამით ანთებუდით, უსარმზარით,
მე დაფაწერე შავი ზეცის, შავი კამარაზე:
„აგნეს, მიეგარხარ!“

მას შემდეგ არის, დაღმდება თუ არა, ცაში
ჩახს ვარსკვლავებათ ციმბიმებენ ცუტხელის სიტყვები
და კითხულობს მას, ჩემს დაწაწერს, კადობრობა:
„აგნეს, მიეგარხარ!“

კ. ოლია (ბ. ლომთათიძე)



როტმისტრი ინგუშთა პოლკინა
თავ მიხ. გ. ხიმშიაშვილი
ბამაკობისათვის დაჯილდოვებული
მე-4-ხარ. გიორგის ჯვრით და სხ.
მონაწილეობდა რუს-იაპონიის ომში

ჩემი...
„



გ. გეკობორიძე († 1910)
მწერალი და საზოგადო მოღვაწე,
სამშობლოს საკეთილდღეოდ საზღ-
ვარ ვარედ „საქართველოს“ გამო-
მცემელთაგანი, გარდაცვალებიდან 5 წ
შესრულების გამო

დ გ მ ბ ა ლ ა მ ე ...

დგება დამე... და ჯერწმებში იფერფლება მწუხრის ალი,
დგება დამე და თეარ სიციფს აფრქვევს დამის დედაფალო...
ტყე სალამურს არაკანკებს, ეპყურება მინდორს ნაში,
სამაასს ქვოცნის შუქი მოკარის, შეწამულ ვარდს—ღის კამკამი
და მე ამ დროს მესმის სუბი, მესმის კითხვა საიდუმლო...
რისთვის, რად და საიდანა?—მიწის ქაფ, მიწის მუშაო?
მუშაო, დღეს თუ დანაგარდობ, ხვალ არარად გადიქცევი,
შენ არ ვმოსავს უკვდავება, ნეტარების ქანთა მწვევი.
შენ, სიზმარზე უნჭარესა, მიწის ცრემლში ისე სდებია,
ამოცანავ, დღეს არა ხარ, ამოცანავ, ხვალ იქნები..

დგება დამე, საოცნებო, დგება დამე იდუმალი,
და არ ვიცი, თუ ვინა ვარ, ან საიტოცხვე რად შექვს მაღა?!

ბ. ლომიძე

კოვალენსკი. მხნედ იყავით, მხნედ, თქვენო უღიდებულესობავე, ნუ სწუხართ და მკმუნვარებას ნუ ეძლევიტ!

გიორგი. როგორ არ მივეცე მკმუნვარებას, როცა ცხადია ვხედავ რა უბედურად მაღის ყოველი ჩვენი საქმე. ჩემ ძმებზედ აღიარას ვიტყვი! იმათ მე არას დროს არა ვყვარებივარ, პატივს არა მცემდნენ და როცა გავმეფდი — შემიძაგეს და შემიძულეს იმიტომ, რომ მეფე მე ვარ და არა ვინმე იმათგანი... დარეჯან დედოფალმა ჩემ შეილთან და სხვა ბევრთან გამლანძღა, გამათრია, მიწასთან გამასწორა, ისე გააფთრდა ჩემზე... და შეეცვრა მოვანებრებრა, რომ რაიმე პასუხი მიმეცა.

კოვალ. ძალიან კარგადაც გინებშიათ, რომ არა უპასუხეთ რა. გააფთრებულს დღეაკაცთან რას გააწყობს კაცი!

გიორგი. ეგ ჯერ არაფერი! მე ძალიან მწყინს და მაწუხებს, რომ ამ ბოლოს დროს, ჩემი შეილი დავითი ცბიერობს ჩემთან, მტრობს, მე, თავის მშობელს მამას და თავისავე კონიერს მეფეს.

კოვალ. ეჰ, ეგ არაფერია! ახალგაზდა და ამიტომაც ცხარეა თავის ქცევაში, რომ რასაც სჩადის — არ უფიქრდება ხოლმე!.. ეგ იმისი სისულელეა და სხვა არაფერი.

გიორგი. ეს უკეთა, ეგ აგრე, მაგრამ... თქვენ იცით, რომ დავითი ხალხში ქორებს ავტრელებს თქვენზე და ლაზარევზე, ვითომც თქვენ ორივენი ავიწროვებთ აქ სუ ყველას და ისე არ იქცევით, როგორც დავალებული ვაქვსთ პეტერბურლიდან.

კოვალ. ეჰ, ბატონო ჩემო, არა ღირს მაგაზე ლაპარაკი, ეგ სულ უმნიშვნელო რამ არის!

გიორგი. არა, ეს უმნიშვნელო რამ კი არ არის, სულაც არა ქორით ბევრი რამ საქმე წახდება ჩვენს ხალხში... დავითი, პირველს ხანს ჯერ რუსების დიდი მომხრე იყო, ახლა კი, ყოველ რუსს დაუძინებელ მტრად გაუხდა. ეს სულ იმისა სიმამრის ჩაგონებით იქცევა აგრე, რომელიც ერევის ხანს მეტად უყვარს, საქართველოს უპირველესს მტერს.

კოვალ. რასა ბრძანებთ! რა წითელი კოჭია ის ვილაც ერევის ხანი, რომ აგრე სწუხართ?! იმისი მტრობა უღონოა! ჩვენი ჯა-

რას წინაშე ვერ გასძლებს და იმისი მტრობა და თვითონაც ვაქტრებიან ვითარცა კვამლი და ბურუსი!.. კარგია, დაეანებოთ თავი იმას და საქმეს მ ვაყოთ ხელი! დრო მადი, თქვენო უღიდებულესობავე და მანამდე თქვენ კიდევ ჯანზედა ბრძანდებით მოვიწვიოთ ერთი ბაბა-ხანის ვილაც ელჩი და ვნახოთ რა სპარსულს ბაიათებს იმღერებს.

გიორგი. კარგი! მოვიწვიოთ! (იხედვება აქეთ-იქით)

კოვალ. ვნებავთ ვინმე? თქვენ ნუ შესწუხდებით, მე დავუძახებ! (მადის თაღის კარებთან და გასძახებს) მოიწვიეთ აქ თავადი ოთარ ამილახორი.

Y

აგისივე და ოთარ ამილახორი.

კოვალ. ბატონო ოთარ! ბაბა-ხანის ელჩის მოწვევს დრო არის! თქვენ კი, თქვენო უღიდებულესობავე, ამ სადარბაზო სილიაღისთვის სამეფო ტახტზედ ბრძანდით, ჩვენ კი აქ, ძირს ვიქნებით.

გიორგი. ოთარ! მომეხმარე, ფეხებს ძლივს ვადგამ! (ოთარი შეგდის ტახტსუდ აბრძახებს) ოთარ!.. ახალი რამ ამბავი რომ არა იცი რა?

ოთარ. დიახ, შენი კირივე, ვიცი! შენი ბრძანება იყო, მეფევე, რომ ბატონიშვილ დავითზე ყველაფერი მოგ ხსენოთ...

გიორგი. ჰო!.. რა... მეტე.. არის რამ ახალი ამბავი? ალბათ იმისი წერილი ჩაგვივარდათ კიდევ ხელში?

კოვალ. აბა, აბა?! ბატონო ოთარ, მოგვიყვიეთ ამბავს!

ოთარ. წერილი კი არა, ბატონო და... დავით ბატონიშვილს ჩემი მოკვლა უნდოდა.

გიორგი და კოვალ. (ერთად) რაო?.. როგორა?

ოთარ. აი, აქ, ბატონო, ამ ოთახში ახლანდელს საქმეების შესახებ მოვანხრებელი ბატონიშვილს, მოულოდნელად მოუვიდა გულში, იძრო ხმალი და გამოემშურა დასარტყმელად, მაგრამ იმ წამსვე მაგრატ ციციშვილი და თქვენი ოთხი ქვშიკი მომეშველნენ, ვადამელოზნენ, თორემ დავითი დამჩნებავდა.

გიორგი. რას ამბობ, ეგ როგორ შეიძლება!

კოვალ. დავითი? ისეთი წყნარი და შორ

ჩილი კაცი, როგორ გაშბედა მაგისტანა საქმე?
ოთარ. ბაგრატი და ქეშიკი ზამსვე ვარს შემოპებვიენენ ისე. რომ დავითი განზედ დარჩა გაკვირვებული, რომ უცბად შშველელი გამიჩნდა.

გიორგი. ოჰ, რა მეწყინა ეგ ამბავი... ოჰ!.. მერე რა ჰქმნა დავითმა?

ოთარ. მერე, ბატონო, დამშვიდდა როცა ვუსაყვედურე და...

კოვალ. ალბად, თქვენ აწყენინეთ როგორმე, ან წამოგცდთ რამე ისეთი სიტყვა, რომ მოთმინება დაჰკარგა და უცბათ ანთო! დავითი ხომ კეთილის გულისაა?

ოთარ. არა, ბატონო, რასა ბრძანებთ? როცა შეიტყო ჩემგან, რომ ყოველი იმისი მტბიერობა და მტყადინობა შენ იცი, მეფევე და თქვენც ბატონო, მაშინ მოუფილა გული და მეტაკა...

გიორგი. შენგან ძალიან მიკვირს ეგ ამბავი! შენ, მაგისტანა დარბაისელი კაცი, დავითს როგორ ვერ გაუფრთხილდი?! დავითი კი არ არის შენთან დამნაშავე, რომ შენზედ ხმალი ამოიღო, შენა ხარ იმასთან დიდად დამნაშავე, რომ იძულებ შენი ბატონიშვილი ისე, რომ სასიკვდილოდ გაგიმეტა.

ოთარ. მევე მამტყუნებ, ბატონო?

გიორგი. გამტყუნებ და გიცხადებ კიდევ, რომ შენა ხარ იმასთან დიდად დამნაშავე! როგორ?! მე დაველაპარაკო ვისმე, თუ ვინღ ჩემს ხელქვეითს, ჩემს ტოლს და არა თუ ჩემზედ უფროსს დაველაპარაკო იმ რიგად, ჩემზედ მოიწიოს გასალახავად, თუ ვინღ მოსაკლავად?! შენგან არ მიკვირს? რა უუაფი შენი ბრძნული სიღარბაისლე? მაგ რიგად შენს ბატონიშვილს გული რად მოაყვანიინე? ეგ მეტის მეტი გათამამებდა შენის მხრით, შენი უფროსის წინაშე!.. მაგ შემთხვევას მერე გაეგასაპარალებ და ახლა წალი და შემოუძებნი ჰაჯი-იბრაჰიმ-ხანს! რამდენსამე ხანს დავითს ჩემთან ნუ შემოუშვებთ! (ოთარს მძიმედ თავს დაიხრის და გაყა თადახს კარებში)

კოვალ. თქვენ მართალი ბრძანდებით, რა შშვენირად უბრძანეთ ოთარს! აი, ბრძნული მსჯავრი სწორედ მაგისტანა უნდა!

გიორგი. უბედურობა ის არის, რომ

ვინც ვინდა დიახლოვო, მაინც გათამამდებდა და მაინც... სხვის ღირსებას არაფრად ადგობენ.

ქ. ყიფიანი
 (გაგრძელება იქნება)

ქართველი მოღვაწენი



(გარდაცვალებიდან 40 წ. შესრულების გამო)

ვლადიმერ ეგ. იოსელიანი (1809—1875)
 ისტორიკოს-ფილოსოფოსი, ბატონიშვილების წინამძღვარის შვილი იყო. პირველდაწყებით სწავლობდა კალაგრაფ დავით რექტორთან, შემდეგ — იანე ნათლისმცემლის მონასტერში, 1817 წ. ახლად გახსნილ სემინარიაში შარველ მოწაფედ შევიდა, 1839 წ. ტატარებთან განაგრძო სწავლას პეტროგრადის სსს. აკადემიაში. 1831 წ. დაითავრა დუთის მეტ. კანდიდატის ხარის. 1835 წ. დაინიშნა სემინარიაში ფიზიკის, ფილოსოფიის და დუთის პეტრეველების მასწავლებლად. 2846 წ. დაიწყო „ამიერ კავკასიის უწყებათა“ (რუსულად) გამოცემა. 1850 წწ. დაინიშნა ქართულ მიუსკების ცენტრალად, ამავე ხანში მოიარა ათონი, მალესტინა და შეისწავლა იქაური ქართული პუგამენტები. მონაწილეობა მიიღო „ძველთა და ახალთა“ ბრძანებაში, მომხსნე ძველთა რაინდათა (გრ. ბრ. ბედიანის და სხ.) მოწინააღმდეგე იყო ახალთა (ილიასი, აკაკის და სხ.) გარდაიცვალა 1875 წ. 16 ნოემბერს და დიდის პეტავისცემით დაიკრძალა თბილისში. ნიჭიერად დაწერილი აქვს მრავალი ისტორიული შრომა: „მეფე გიორგი XII“, „ქართული საეკლესიო ისტორია“, „ქართული გრამატიკა“, ცნობილი წერილი რუსთაველის შესახებ, „თბილისის აღწერა“, „მოგზაურობა კახეთში“, „დიდი მოურავი“ (რუსულად). 50 წლებში აღწერა აუარებელი მონასტრები საქართველოში და სხ. გაზეთის ვარდა, გამოსცა „დიდმოურავიანი“, „იონას მიმოსვლა“, „არწილიანი“, ანტონ კათალიკოსის „წვთბილისიტეობა“, ჩხრუხაძის და შავეჯიას „თამარ მეფის შესახებ“.

ნასკნული სტრატეგიის სიტუაცია და ეს მხოლოდ იმპროვიზაციით, რამე ბრუნდება კარგი გამოთქმა ქვეყნად.

ა კიდევ შეიძლება ნამდვილი ამბავი, რამეღონი სიტუაციის დადგენილი მდგომარეობის.

მეტეოლოგიის ფუნქციის, თითქმის ყველაზე, რის მნიშვნელობა ღის მნიშვნელობა ახლოს ამბობენ; ეს, რასაკვირველია, ნაკლებ და უმეტეს მნიშვნელობა ხედავთ განსწავლავს, განვიხილავს ტანსაცმელს სკინი- და ეს ნაკლებ და განსწავლავს.

ერთმა შესანიშნავმა მხილობამ მამბო, რთვით განსწავლავს ეს ნაკლებ, ვერ ისევე ახალ- განსწავლავს იყო, ნიჭიერი, ერთსა და იმავე დროს თან კურდღელს დასწავლავს დასწავლავს, რთვით კურდღელს იმასათვის ერთი შეიძლება ძვირფასი და ერთი შეიძლება ძვირფასი იყო. მუშაობა და განსწავლავს რ ისე რთვით რ და დასწავლავს მნიშვნელობა ხედავთ ქალის გული. ექვსი თვის განსწავლავს ხედავთ, განსწავლავს უკან დასწავლავს ერთსა და შეიძლება, მნიშვნელობა იყო. ბოლოს, ერთ სანდოს, ერთი სანდოს ხედავს. მუშაობს, ადრესის და ქალის თქმის შემდეგ დასწავლავს გული მთავრდება, დასწავლავს დასწავლავს, რთვით განსწავლავს.

განსწავლავს, თითქმის, ჩამოიბრუნა კიბეები და შეიძლება რთვით, დასწავლავს: „ქალის განსწავლავს... სიტუაცია ესა და შეიძლება... წამოიბრუნა ღის მნიშვნელობა რ სიტუაცია, ნამდვილი რ. იჭრება შემთხვევით იყო?

განსწავლავს: „ქალის განსწავლავს... ისევე რ, ნამდვილი რ... და შეიძლება განსწავლავს განსწავლავს განსწავლავს.

განსწავლავს შემთხვევით ვინთაგან დასწავლავს... დასწავლავს შეიძლება, რ შეიძლება.

— აჰ, რა დიდი ვინთაგან... რ? კიდევ რ, ნამდვილი რ; ესევე შემთხვევით? თანავე ერთი და იმავე შემთხვევით?

ხანდაზმული გზა და გზა ვინთაგან: კარგობა, რ ვინთაგან, კარგობა, რ ვინთაგან, კარგობა... რ, რ, რ, ნამდვილი რ.

ვინ უმეტეს? იმან, ვინც ვერც ძალიან უკარგად, თუ ექვსი თვის მუშაობაში?

ახე თუ ისე, ბედნიერად-ვი იყო, ღის მნიშვნელობა რ-ს ამბობდა და ქალის გული უკარგად.

დასწავლავს ამ ამბავს: „სიყვარულის გავლენა გამოთქმაზე“.

გიორგი უახალდარი

ქართული სახიობა

ქართ. ღამა. დასმა 13/XI ს. ხალხი სახლში

ე. შალივაშვილის პიესის - გადამტანილი პიესის წარმოადგენით კიდევ ერთხელ წარუდგინა ქართველ საზოგადოებას საბრალდებლო ოქმი, ოქმი ჩვენის ცხოვრების უკუდართ და შეუსაბამო ამბებით სავსე: უცხო პიესით გამოზრდილი ახალგაზრდობა, მიწას რომ მოსწყვეტია და ვერც შეუძლია უწევია, იდეალთა მოტრფილი, ნამდვილად კი უიდეალო. ლუკმა-პერის საზოგადოებად კანცენტრირებში ძროხა და მით ყოველგვარ სიწმინდის დამბობა, ცარიელი ლაპარაკი, ცრუ და ჩვენის ქვეყნისთვის შეუფერეული სწავლა-განათლების შედეგი, უმაქნისი, გნებათაღივლი დასწავლავს სურვილით ვატაკებული ქალი, დღეს რომ ერთს უგეის ბადეს, ხვალ შეიძლება, და ბოლოს — გაგონებელი ვარძილამო, უცხო ხელში ვადსული ამა-პაუელი მამული, რომლის ახალი პატრონი, ვადამტარი მუხაზე შემომჯდარი, ძველ პატრონს ეხოლან აგდებს: „ცადო, ცადო“ (ვიომ—წადი, წადი!), — აი ე. შალივაშვილის მეორეი შინაარსიან პიესის სული და გული. — ეს ნამდვილი საბრალდებლო ოქმი ქართული ინტელექტის დიდი ნაწილის წინააღმდეგ და — ვაგლახ, რომ იგი ამ ბრალდებლასთან თან ვერ იმართლებს და მუდამ საგმობიც იქნება, ვიდრე საკუთარ მდგომარეობას არ ჩაუყვარდება და დამოუკიდებლობით სიარულს არ ასცდება.

უნდა თქვას კი, რომ ერთის შეხედვით პიესაში უფრო მეტი მსჯელობაა, ყალბი ადგილები. შიგ დ. შიგ რალაქ შეუსაბამობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, პიესის საზოგადოება დიდის ყურადღებით უსმენს და მისი ნეტრით გულსაც იბსარავს. სასურველია, ატორი დამუშავებდეს და, ვარა ამისა, ამ ვხით ცელად განაგრძობდეს წერას, ხოლო უფრო ხელოვნურ ჩარჩოში კი ჩამოაყალიბებდეს თავის საბრალდებლო ოქმით.

ჩვენმა დასმა ეს პიესა მწყობრად წარმოადგინა, და არც საკვირველია: დასში თვალსაჩინო ძღონი არიან: — მამა-შვილი აბაშიძენი, ვ. გამყრელიძე, ვ. გუბია, ნ. დავითაშვილი, ალ. იმედაშვილი, გ. იშხნელი, დ. მგალობლიშვილი, ან. ქიქოძე, ნ. ჯავახიშვილი, — ამ წარმოდგენის სულის ჩამდგმელი. — სანატრელია, დასმა ბეჯითად იპუშაოს და, როგორც იმ დამეს ზოგიერთს (ალ. იმედაშვილს, ვ. იშხნელს, ნ. თოიძეს) ეჩვენოდა, რომლის კარგად უცოდნელად სცენაზე არავინ ვაშო-უშვას აღსანიშნავია ან. ქიქოძის მაღალ-ბუნებრივი სახიობობა. — მსახიობქალს დიდი წარმატება ეტყობა. აღსანიშნავია აგრეთვე სადა, მარტივი და სრულიად ბუნებრივი თამაში ნ. დავითაშვილისა.

მეტეოლოგიის მოთხოვნებმა რეჟისორს, თეატრი ხალხით გაქვდილი იყო.

ამვე დასმა 16XI წარმოადგინა რუსულიდან ნათარგმნი „ახალი ცოცხლება“. ქუთის სასწავლო პიესა.

რომ იტყვიან, სწორედ ეს არის: მუყაითი შრომის, მუცლინობის, თვისი უნარის გამოჩენისა და უწარობა-ფუფუნების სარკე, — აი ძარღვი მისი. პიესა ვაკეა-ნურბეულია, მოძღვრების კოლოთი გადაშტეტული. თარგმანი რუსიკიზმებით არის საფე. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა, — ტ. აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ვ. გუნია, ალ. იმედაშვილი, დ. მგალობლიშვილი, ნ. ჯგანიშვილი და განსაკუთრებით ახალგაზდა მხაზიბონი მ. სარაული და ზ. გომელაური ნაყის რაოლთა დირ-სეული აღმასრულებელნი აღმოჩნდნენ. რეცისორს მძარ-თებს, სცენის მოწყობაში მგერი ყურადღება. ამ წარმო-დგენასაც საზოგადოება ბოლომად დაესწრო.

პირველმა წარმოდგენებმა სანუგეშო იმედები აღ-გვიძრა. უსურვოთ წარმატება... უსვენაო

სახალხო სახლში წარმოდგინა 12/XI წარმოდგინა სომხურიდან კარაბეტნიანის მიერ ნათარგმნი დრამა შირ-ვანხაღღის „ნამუსისათვის“. პიესა კარგი ენითაა ნა-თარგმნი, შივალაშიგ სამწიგნობრო ენა სჭარბობს. პიესა თითქმის „კომბირული“ — ტყუპია. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, საუცხოვო ელიზბარაიანი იყო ნ. გო-ციკრიანი, ერანუში — ნ. ჯგანიშვილი და სურენა — მ. ჭიაურელი, ე. ნინიძემ (მაგარტი), ნ. თომიძემ (როზა-ლია), ი. მინდიაშელმა (სალათელ), ა. მეტრეველმა (არტაშეს) და ანკარამ (მარგარიტა) თვისი როლები შეგნებით შეასრულეს დანარჩენი ზელი შეუწყეს.

— ნო

საგვარის სასოფლო კლუბში კვირას, 15/XI ს. პრესმანის გამგეობით და ნ. ა. პრესინსკაიას მონა-წილეობით გაიმართა მუსიკალური საღამო, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ლოტბარს უმეტე-სად ნაზი და სათუთი სამუსიკო ნაწარმოებნი შეერჩი-ნა — ტომის, ლუმბის, ლანგოს, იარენფელდის, გლიფ-კის, ვერდის და სხ., რაიცა ორკესტრმა ზღოვანურად შეასრულა. განსაკუთრებით მოსაწონი იყო პირველი განყოფილება. რომელშიაც, სხვათა შორის, ს. სილის-კინმა საუცხოოდ დაუკრა ქსელოფონზე. მეორე გან-ყოფილებაში მოხდენით შეასრულეს სოლო მტურმან-მა და შლიკმა. მომღერალმა ნ. ა. პრესინსკაიამ, საზო-გადოების თხოვნით, რამდენიმე რომანსი იმღერა, ბო-ლოს „გენაცუალც“ — კი, რასაც საზოგადოება მზურეა-ლედ შეხედა. ხალხს უყვარს ეროვნული სიმღერები და საჭიროა ყოველ ასეთ საღამოში ქართული მო-მღერალიც მოიწვიონ ხოლმე, თორემ ქართულის არ მტოლნენ უცხო ზგენის სიმღერის გულს ვე ჩასწვდება... საღამო დასრულდა ყარაშვილის „სამშობლოთი“. დი-მსწრე საზოგადოებამ ორკესტრი ლოტბარითურთ და ქ. პრესინსკაია მზურელე ტაშით დააჯილდოვა.

კერტი

ნაქალაქის თეატრში კვირას, 15/XI, მ. აბაშიძის მონაწილეობით წარმოდ. იქმნა „ზანუმა“ და-ესწრო დიდძალი ხალხი.

დ. ხაშურში ახლ. დ არჩეულმა (7/XI) დრობატ, წიროს გამგეობამ შაბათს, 14/XI წარმოდგინა „ადამ

და ევა“ (2 მოქმ). კარგი იყო ბ-ნი ალ. კორძაია (ივანიკა), უკეთესი იქნებოდა ქანი ქ. კალაძე (თამარ-კა), როლი რომ სცოდნოდა. ბ-ნი მ. კვალიაშვილიც გვარიანი იყო. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ზენე-ბურთი ცეკვა ჯილდოთი, — ერთი ჯილდო ცრგო ქან ლ. ტატიშვილის ასულს, მეორე ბ-ნი ვ. ხიდირბეგიშვილს. ხოლხი საკმაოდ დაესწრო. გამგეობას მოეთხოვება უფ-ხო შინაარსიანი საღამოების მართვა და უფრო საყუ-რადღებო პიესების წარმოდგენა. კაკალი

ს. საბთიხალაში სამკითხველს (სასარგებლოდ 22 მარამ, გამართულ წარმოდგენის შემოსავალი — 60 მ. 60 კ და ძველი 8 მ 30 კ. შემოსწირეს: იასონ სუნთლიშვილმა 5 მ; თითო მან. მმ. ლენკაძეებმა, თ. კორხიშვილმა და სტ. სიხარულიშვილმა; ამკინძებმა ლ. შატბერაშვილმა — 30 კ., აქედან ხარჯებს გარდა წმინ-და დარჩა — 34 მ. 76 კ. დიდს მალაობას ვუცხადებთ შემომწირველთ.

სცენის მოყვარეთა მონდობილობით თ. გურგენიძე **მოუარებითი** ამ შემოდგომაზე დაიწყო წარმო-დგენების მართვა სცენის მოყვარეთა წრემ, აქაურ თე-ატრის პატრონის ბ. გ. გოგრიტის თაოსნობა-რეგი-სობობით. დიდათ პატივსაღებია, რომ წრემ ამ მიმე ღროს წარმოდგენების საქმეს უძღვება, ხოლო სასურველთა უფრო მეტიან ყურადღებით მოეკიდონ საქმეს. 10/XI წარმოდგინეს „სამშობლო“, აქაურ პირველდაწყებით უმაღლეს სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებ-ლოდ. წარმოდგენას ხალხი ბოლომად დაესწრო.

Nelli

წვრილი ამბები

◆ **ქუთაისის მხვთარხა ზაღმა დაღიანა**
10/XI საჯარო კრება მოიწვია და მოხსენება წარუ-დგინა დასის მოღვაწეობის, შემოსავალ-გ.სავლის და ზოგიერთ რეცენზენტის ცალმხრივობის შესახებ. 1/X — 5/XI დასს შემოსავალი ჰქონია 3533 მ. 34 კ. განავალი — 1538 მ. 44 კ. ამხნავობას დარჩენ ა. 1894 მ. 37 კ., თითო მარკაზე 11 მან. ცოტა მეტი. ასე რომ შემოსავლის მხრით დასი კმაყოფილია. კრებაზე „შეგმავებულ იქმნა დაანლოცებით ასეთი დადგენილება: „გამოცხადოს სრული ნდობა ამბ-ს დასს და ეთხოვოს, კვლავ ჭინავტოს თავისი სასარგებლო მუშაობა; ამას-თან გამოითქვას რეცენზენტებად ინიშნებოფრს მკოდნე და მიუღვამელი პირები“.

◆ **სამუსიკო დილა** სიმებიანი ორკესტრისა პრესმანის ლოტბარობით სახალხო სახლში გაიმართ-და კვირას, 22/XI.

◆ **მასო კახაშიძე** განაპირა თეატრების ხშირი სტუმარი შეიქმნა: ორი კვირის წინად საბურთალოს სცენაზე მონაწილეობდა („რაუ ვინაზავს — გელარ ნაზავ“), გახულ კვირას — ნაძალადეგში („ზანუმა“). რაღა თქმა უნდა, სრულიად უწრომის ფასოდ და ამ სიმორიდან ხშირად ნაშუადამეზს თეგით ბრუნდება ხოლმე სახლში.

◆ **ცალკე წიგნად გამოვიდა** ს. ერთაწმინდელის „ლურჯი ხალათი“, დრამ. ესკიზი 1 მოქმ. გამოცემა კ. ბაქრაძისა და კ. ყიფიანისა, ფასი 10 კ.

◆ **ნაბალადვის თეატრი** შაბათს, 21/XI, გ. იშხნელის მოწაწილეობით—დავ. კუდუხაშვილის რეჟისორობით „გამცემი“, ი. გედევანიშვილისა.

◆ **ხარჭუნის კლუბი** კვირას, 22/XI. გაიმართება საბავშვო დღი.

◆ **გმოსან შირი მღვიმელის** სამწერლო მოღვაწეობის აღსანიშნავად ამ მოკლე ხანში გაიმართება საბავშვო დღი და სალიტერატურო საღამო.

◆ **ქართულ მოღვაწეთა აზარაპის** სახელობელად ქართ. კულტ. მოყვარულთა საზოგადოებამ, 12 სექტემბრიდან პირველ ნოემბრამდე სხვა და სხვი პირობებთან მიიღო თავისუფალი შემოწირულობა 422 მ. და 40 კ. შემომწირველთა სია თავის დროზე ცხადდებოდა გაზეთებში.

◆ **ზოლა ლომთათიძის** ცხელარი საპატრონო ხეობით დიკრძალის წმ. ნინოს სასაფლაოზე, უმთავრესად დემოკრატია დაესწრო, ასამდე გვირგვინი იყო, ამითში 47 რუსეთიდან, ხუთი რედაქციის შრომით კუმბო შემკულ იქნა იაპარდ-ყვავილები თაიგულით. სიტყვები წარმოსთქვეს დეკ. თალაკვაძემ, გ. ბეგაძემ, რეზნეცემ, ახ. ტიანში, ა. მაისურაძემ, ვ. კობლაძემ, ს. პარულაშვილმა, ნ. ჩხიკვაძემ, ვ. მგალობლიშვილმა და სხ. დაესწრნ სხვა და დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენლებს.

◆ **დ. ბორჯომში** ქ. შ. წ. კით. საზ. განვითარებულმა სცენის მოყვარულთა წრემ დროებით შესწყვიტა ქართული წარმოდგენების მართვა (რადგან საოპერო დარბაზი ხისა და საშინლად ცვა).

◆ **სად. ზორაბაძეში** ამ მოკლე ხანში გ. ნუკრაძის თაოსნობით წარმოდგენილი იქნება ტრ. რამიშვილ ს. „საბედისწერო დამბახა“. მასვე განუზრახავს, როგორც ადგილობრივ სცენის მომწყობს, სისტემატიურად მართოს წარმოდგენები.

◆ **დ. ხაშურის** ქართ. დრამ. წრე ამ მოკლე ხანში დაიწყებს საზამთრო სეზონს (რეჟისორად—ალ. კორძია, თანაშემწედ ნ. სინარულიძე). მხადდება შესაფერი რეპერტუარი პირველად—„ქართველი დედა“.

◆ **მხახიოზ ბარკვილის ბინეფისი** კუთარისში 21/XI გაიმართება.

◆ **დაბადების ასი წლის თავი** ნ. ბარათაშვილისა მომავალ წელს 22/XI სრულდება.

◆ **ქუთაისში** ალ. ქალაშვილიშვილის საბუნებისლოდ ხუთ შაბათს, 28/XI ქართ. დრამის მ. ხ. აბზია წარმოდგენს ა. შანშიაშვილის ისტ. პიესას „ციორტი სააკაძის ცხოვრებიდან“ „ნევერგვინო შეფენი“-ს გ. სააკაძის ბოლო შეასრულებს მომბენფისე, როლები დასის საუკეთესო ძალთა შორისა განაწილებული შემდეგ ბენფისი—განო მარველი.

სახალხო სახლი სამშაბათს, 24 გიორგობისთვის, 1915 წ. ქართ. დრამ. საზ. ი. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებით წარმოდგენილი იქნება გენრიხ აუნკვიჩის ცნობილი პიესა პირველ ქრისტიანობის დროიდან

ვიღრე ხვალ უფლო?
დრ. ნ. მოქ. თერგ. აკაკი ზერეთლისა
მოწაწილენი: ქანი: აბაშიძე ტ. დავითაშვილი ნ., თოიძე ნ., ქიქოძე ა., ჯავახიშვილი ნ., ჩერქეზიშვილი ელ., ბენი: აბაშიძე ე., გუნია, გომელაური ნ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., იშხნელი გ., შამდორია ი., ყიფიძე ი. ადგილებების ფასი 15 კ.—1 მ—50 კ.—დუ.
და აწყისი საღამოს 8 საათზე.
რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.
სრამ. საზ. ხის გამგ. ის მართვი წევრი შ. მიქელაძე

ხარჭუნის საზ. კლუბი მიხეილის კარ. № 131
გათი კვირის პროგ. 21 გიორგ. 29 გიორგ. დე შაბათს | სიმებიანი ორკესტრი პრესმანის კვირა | საბავშვო დღი, სალ. ორკესტორ შ. ბ. სინემატოგრაფი; საზანდარო საშ. შაბ. სიმებიანი ორკესტრი ოთხ შაბ. ქართ. წარმოდგენა ხუთ შაბ. სიმებიანი ორკეს. პრესმანის ლოტ. პარ. სკევეს ს. ზანდარო, სინემატოგრაფი შაბათი | სიმებიანი ორკეს. პრესმანის ლოტ. კვირა | მუსიკალური საღამო მისაველი ფასი შაბათს—50 კ. ქალები სტუდენტები—20 კ. დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათს.



აბა კვთი...
სამხედრო...
და კლუბის...
კვთი...
აბა კვთი...
სამხედრო...
და კლუბის...

ნომრები „ავრორა“
ახლად შეკეთებულს, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შეუფულს, ევროპისთვის ძველთან ნომრები ოთხი აბაზიდან. ნომრებში ხამბარეულო, ცხელი და ცივი წყლით (დუმი და ანაი), თბ. მიხ. პრ. მხ. ტელ. 1 მ—14 (წ)